ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს10-23, 16.10.2023

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №31, 18.10.2023

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული / სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური / ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: დოქტ. ეკატერინე ნაცვლიშვილი, მობ.: (+995) 599 75 66 14; ელ.ფოსტა: natsvlishvili.ekaterine@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა, ადგილობრივი ეკონომიკისა და მცირე ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, უმაღლესი, გადამზადების) განხორციელებაზე. სწრაფად ცვალებად გარემოში სწორი მენეჯმენტი ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა. მმართველობითი პროცესების კვალიფიციურად განხორციელება და თანამედროვე მენეჯმენტის შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენება ნებისმიერი კომპანიისა თუ ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს. კომპანიის/ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის კვალიფიციურად წარმართვა, პირველყოვლისა, მართვის თანამედროვე მეთოდების მცოდნე, მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრების მომზადებას მოითხოვს.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო დღითიდღე უფრო საინტერესო ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის. ხორციელდება ახალი ინვესტიციები, ფუძნდება ახალი ორგანიზაციები/ კომპანიები/ფილიალები, რომლებიც საჭიროებენ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კვალიფიციური

კადრებით უზრუნველყოფას, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიის აქტუალობას.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განხორციელების აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე კომპანიების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნით ისეთ სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც, აუცილებელ თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ გლობალურ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება მენეჯმენტის ყველა დონეზე; ამასთან ერთად, გაცნობიერებული აქვთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაც - ისე დაგეგმონ და განახორციელონ სამუშაო პროცესები, რომ შეესაბამებოდეს როგორც კომპანიის (ორგანიზაციის), ასევე, საზოგადოების ინტერესებს; შესწევთ უნარი კერძო და სახელმწიფო ინტერესები მოაქციონ ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩარჩოში.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა გაითვალისწინა რა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნა-უნარები, რომელსაც დამსაქმებელი საჭიროებს ბიზნესის მართვის სფეროში კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების დაქირავებისას, ეს ცოდნა-უნარები პროგრამაში ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში დასაუფლებელი კომპეტენციების სახით ასახა.

წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც აღიჭურვება არა მხოლოდ სათანადო დარგობრივი ცოდნა-უნარებით, არამედ ისეთი საკვანძო კომპეტენციებითაც, რომელიც მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, მისი სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა), მათემატიკა/ისტორია.

თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და

განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლადაა ასახული შპს ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა - უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც შეძლებენ სამეწარმეო საქმიანობას, ბიზნეს-პროცესების წარმართვას ან/და მენეჯერული ფუნქციების განხორციელებას მენეჯმენტის სხვადასხვა რგოლში.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

(1) მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ძირითად ფუნქციურ მიმართულებებში (ეკონომიკა, ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი), დააუფლოს ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს; შესძინოს სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის გაძღოლის უნარ-ჩვევები.

(2) გაუღრმაოს თეორიული ცოდნა და განუმტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების რომელიმე კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებაში (ფინანსები/ მარკეტინგი/მენეჯმენტი); განუვითაროს მენეჯერულ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებისა და შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.

(3) განუმტკიცოს ზოგადი კომპეტენციები: ზეპირი და წერითი კომუნიკაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), პროექტის/მოხსენების მომზადება-წარდგენის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, მონაცემთა მოძიება-დამუშავების, ანალიზის, სინთეზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერების, პრობლემის იდენტიფიცირების, გადაწყვეტის,

კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, შეფასების, დასაბუთების, მცირე მასშტაბიანი კვლევების ჩატარების, ჯგუფში მუშაობის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, პასუხისმგებლობის და ორგანიზაციაში ქცევის უნარ-ჩვევები, მოქალაქეობრივი კომპეტენციები და ღირებულებები.

(4) საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით (საქმიანი/როლური თამაშები, ბიზნეს-სიმულაციები, სასწავლო პროექტები; ბიზნესის პრაქტიკუმი; საბაკალავრო პროექტი; პროფესიული პრაქტიკა ორგანიზაციაში) შეუწყოს ხელი სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას და საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცებას.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ფართო და საფუძვლიანი ცოდნა, რომლის საფუძველზეც:

(1) აღწერს ბიზნეს-ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკურ გარემოს, ახსნის და აფასებს ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებს ეკონომიკის ფუნქციონირების და ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე თეორიებისა და მოდელების კრიტიკული გააზრების შედეგად; აცნობიერებს ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებს.

(2) აანალიზებს და განიხილავს ბიზნესისა და მეწარმეობის განხორციელების თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს; განსაზღვრავს ბიზნეს-სექტორის ადგილს ეკონომიკურ სისტემაში, სამეწარმეო საქმიანობის როლს ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის.

(3) განსაზღვრავს და აღწერს ბიზნესის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების (ორგანიზაციული და სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსები, საწარმოო ოპერაციები და პროექტები, მარკეტინგი და გაყიდვები, ლოგისტიკა, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, ბუღალტერია) თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; ორგანიზაციული ქცევის პრინციპებსა და დანერგვის მეთოდებს; ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს; მსჯელობს ბიზნესის მართვის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე.

(4) აღწერს კომპანიის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის სფეროს: ფინანსურ ინფრასტრუქტურას, ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებსა და მართვის

მექანიზმებს; კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, პროცესების ეფექტიანობისა და ფინანსური გადაწყვეტილების შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს; სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრის ხერხებს; მსჯელობს კომპანიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე.

(5) აღწერს კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს: მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპებს; ბაზრის მარკეტინგული კვლევის დაგეგმვა-ჩატარების მეთოდებს და პროცედურებს; მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და მართვის მეთოდებს; ეფექტური კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და გაყიდვების სტრატეგიებსა და შერჩევის ტექნიკას; გაიაზრებს მარკეტინგის, ბრენდინგისა და გაყიდვების ურთიერთკავშირს; მსჯელობს მარკეტინგის სფეროს კომპლექსურ საკითხებზე.

(6) განიხილავს ბიზნესისა და მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირების სფეროს: ბიზნეს სამართლის აქტუალურ საკითხებს; საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელ ძირითად პრინციპებს; შრომით ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ბერკეტებს; კრიტიკულად გაიაზრებს სამართლის, როგორც ბიზნესის განვითარების ინსტრუმენტის მნიშვნელობას და მისი გამოყენების აუცილებლობას.

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

(7) ბიზნესის სფეროში მიმდინარე ცვლილებათა იდენტიფიცირება, ეკონომიკური პროცესებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შეფასება; ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური აგენტების ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი; ეკონომიკის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა.

(8) ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობისა და მეწარმე სუბიექტის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება, ბიზნესის სახეობის შერჩევა; ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით; სამეწარმეო საქმიანობის/ბიზნესის ორგანიზებაში ეკონომიკური, საფინანსო, სადაზღვევო, მარკეტინგული, ინოვაციური, საწარმოო, საკადრო პროცესების ანალიზი; ბიზნესსაქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, რისკების შეფასება; ფუნქციონალური სტრატეგიების და ცვლილებათა პროექტების შეფასება; კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური პორტფელის ანალიზი; კომპანიის მენეჯმენტის განხორციელება ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების მომზადება. ბიზნეს/მეწარმეობის საქმიანობის წარმართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა, ეთიკური, სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით და ორგანიზაციული ქცევის პრინციპების დაცვით.

პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

(9) დამოუკიდებელად შეასრულოს სამუშაო მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად; აგოს პასუხი მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, შეაფასოს შედეგები და დასახოს გაუმჯობესების ღონისზძიებები. დაგეგმოს და განხორციელოს ბიზნესის ადმინისტრირების / ბიზნესის

ფუნქციონალურ სფეროსთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტი (ბიზნეს-პროექტი/ბიზნეს-გეგმა/პროგრამა/სხვა) მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. დაინტერესებული მხარეების წინაშე წარადგინოს შესრულებული სამუშაო/პროექტი, დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე), მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში და არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა შეიძლება აკადემიური წლის განმავლობაში იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; პრაქტიკას (პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას); საბაკალავრო ნაშრომის მომზადება-დაცვას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო კომპონენტი	**195 კრედიტი**
თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი,	
ტრანსფერული უნარების განვითარებაზე	24 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	162 კრედიტი
საბაკალავრო პროექტი	9 კრედიტი
არჩევითი კომპონენტი	**45 კრედიტი**
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	9 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსები / პროგრამის თავისუფალი კრედიტები 36 კრედიტი

<u>**შენიშვნა:**</u> სპეციალობის სასწავლო კურსების ფარგლებში რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე სტუდენტის სურვილის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის დასრულებისთვის სავალდებულოა პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა, ჩაბარება (პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლებას) ან დოკუმენტურად დადასტურება. შესაძლებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა დადასტურდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდითაც. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის სწავლისგან თუ ის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან დოკუმენტურად დაადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას. ამ შემთხვევაში პროგრამაში ინგლისური ენისთვის განკუთვნილი კრედიტები სტუდენტს შეუძლია აითვისოს თავისუფალი კრედიტების მსგავსად, უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გავლით, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის დაცვით. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძვლეზე და სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს შესაბამისი დონიდან. სტუდენტი, რომელიც საჭიროებს ინგლისური ენის საწყისი დონიდან დაწყებას, აღნიშნულ დონეებს (A1, A2, B1.1 და B1.2 დონეს) სწავლობს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ათვისებით.

სტუდენტს საშუალება აქვს თავად შექმნას საკუთარი პროფილი სპეციალობის სავალდებულო, არჩევითი ან თავისუფალი სასწავლო კურსების კომბინირებით. სტუდენტს შეუძლია თავისუფალი სასწავლო კურსები აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი, შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან დაშვების პირობების გათვალისწინებით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 21 კვირისგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 6 კვირა სასესიო. კერძოდ, მე–8 და მე-9 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები. მე-18 და მე-19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე–20 - 21 -ე კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაშიც თუ მან გადალახა საბოლოო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი (51 ქულა), მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი აკმაყოფილებს პირობებს:

ა) გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი (დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერია 50%+1 ქულა);

ბ) მოაგროვა საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40%-ისა (პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში შესაძლებელია ქულათა განსხვავებული განაწილება).

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსების შეფასების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. განმავითარებელი შეფასების გამოყენების მიზანია - სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო საგანია - სწავლის პროცესი. განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების კი მიზანია - სწავლის ხარისხის გაკონტროლება; სტუდენტის მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა. ხოლო, შეფასების საგანია - სწავლის შედეგი - ცოდნა-უნარები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით და ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ (მიმდინარე) შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში;

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია და ა.შ.), რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება, სტუდენტის მიერ შეფასების თითოეული კომპონენტისათვის განსახორციელებლი აქტივობებისა და შეფასების წესის დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდეტნებისათვის.

სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები და ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები,

როგორიცაა: საშინაო დავალება, პრაქტიკული სავარჯიშო/ამოცანა, ქვიზი, ტესტი, სემინარი, ზეპირი და წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, შემთხვევის ანალიზი (წერითი; ზეპირი) და სხვა.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტიტრების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფეროა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან/და კერძო და სექტორში სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები (საჯარო ორგანიზაციები, საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები, უცხოურ-ქართული ერთობლივი საწარმოები). პროგრამის ფარგლებში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეუძლია: დაიკავოს სპეციალისტის ან/და სხვადასხვა რგოლის მენეჯერის პოზიცია; პრაქტიკულად განახორციელოს მენეჯმენტის, მარკეტინგის ან/და ფინანსების მიმართულებით ძირითადი პროფესიული ფუნქციები (საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური) როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებული ასევე შეძლებს ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და თავად გაუძღვეს სხვადასხვა ინდუსტრიაში მიკრო და მცირე ბიზნესს.